საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში
თბილისის “დინამოს” გუნდის მორიგი გამარჯვება

თბილისის დინამოელებმა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში ჩაატარეს გუშინ, 17 მაისს, მოსკოვში. მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის გუნდი “კრილია სოვეტოვ”.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 0:0.

მეორე ნახევარში თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. დაახლოებით მე–20 წუთზე თბილისელმა თავდამსხმელმა ანთაძემ მოსკოველთა კარში გაიტანა პირველი ბურთი, მაგრამ არ გასულა ერთ წუთიც და მოსკოველებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს.

ამის შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო განავითარეს შეტევა, მათ იერიშებს შესანიშნავად იგერიებდნენ მოსკოვის გუნდის დამცველები და განსაკუთრებით მეკარე არხანოვი. თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ხარბედიასაგან მოწოდებული ბურთი ზუსტი და ძლიერი დარტყმით პანიუკოვმა გაიტანა მოსკოველთა კარში.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამგვარად თბილისის “დინამოს” გუნდი ინარჩუნებს ლიდერობას. მან მოიგო ხუთივე მატჩი და მოაგროვა 10 ქულა.

მორიგ მატჩს თბილისელები ჩაატარებენ მოსკოვში “დინამოს” სტადიონზე 23 მაისს მოსკოვის “სპარტაკთან”.

12 მაისი, 1946 წ.